დუშეთის
მუნიციპალიტეტი

# საგადახდო მოთხოვნა #00003

*(დამტკიცებული ხაზინაში)*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სახაზინო კოდი | 03 02 07 | დასახელება | საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაცია | | |
| ვალდებულების # | 0003 | მოთხოვნის საფუძველი | მიღება-ჩაბარების აქტი; 1111; 25/12/2015 | | 0 |
| საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი | 33.1.8 | თანხა ლარებში | 561.50 | თანხა სიტყვით | ხუთასსამოცდაერთი ლარი და ორმოცდაათი თეთრი |
| განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი | | | | 229324451 | |
| დასახელება | თვითმმართველი თემი - დუშეთის მუნიციპალიტეტი | | | | |
| მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი | | | | 429319864 | |
| დასახელება | შპს შპს არაგვი 2012 | | | | |
| მიმღების ბანკის კოდი | | | | BAGAGE22 | |
| დასახელება | ქ.თბილისი,სს "საქართველოს ბანკი" (სანგ. ცენტრი) | | | | |
| ანგარიშის # | GE30BG0000000321156600 | | | საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი | |
| გადახდის დანიშნულება | 33.1.8.1-სხვა დანარჩენი; სხვა - ბაზალეთში ს. მლაშეში სტიქიით დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსებისთვის მასალების შესყიდვა (2015 წლის) | | | | |

| | | |
|---|---|---|
| *მოთხოვნის დამატება:* | ნაირა ნაობიშვილი | 08/02/2016 18:31 |
| *მოთხოვნის განახლება:* | ნაირა ნაობიშვილი | 08/02/2016 18:39 |
| *მოთხოვნის განახლება:* | ნაირა ნაობიშვილი | 08/02/2016 18:40 |
| *მოთხოვნის დამოწმება:* | ნაირა ნაობიშვილი | 08/02/2016 18:40 |
| *მოთხოვნის გაგზავნა middle-ოფისში:* | ნაირა ნაობიშვილი | 08/02/2016 18:41 |
| *მოთხოვნის გაგზავნა ხაზინაში middle-ოფისიდან:* | დავით შაბურიშვილი | 09/02/2016 11:29 |
| *მოთხოვნის მიღება:* | ინდირა ლორია | 09/02/2016 11:32 |
| *ბანკში გაგზავნა:* | | 09/02/2016 11:37 |

09/02/2016

ტრანზაქცია
განხორციელებულია

# დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
# GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება №1361

14 დეკემბერი 2015 წელი

ქ. დუშეთი

**ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ.მლაშეში, სტიქიის შედეგად დაზიანებული ე.წ. „სათბურების დასახლებაში" მდებარე საცხოვრებელი მეორე კორპუსის რეაბილიტაციისათვის საჭირო სამშენებლო მასალების შესაძენად დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ**

2015 წლის 12-13 ნოემბერს, ძლიერი ქარის შედეგად ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში დაზიანდა სოფ.მლაშეში ე.წ. „სათბურების დასახლებაში" მდებარე საცხოვრებელი მეორე კორპუსი.

ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის (მ.ბოდაველი) მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ შესწავლილია ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ.მლაშეში ე.წ. „სათბურების დასახლებაში" მდებარე საცხოვრებელი მეორე კორპუსის რეაბილიტაციისათვის საჭირო მასალების კალკულაცია. წარმოდგენილი ინვოისების მიხედვით სამშენებლო მასალების ღირებულება შეადგენს 9840 ლარს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2015 წლის 12-13 ნოემბერს, ძლერი ქარის შედეგად ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფ.მლაშეში ე.წ. „სათბურების დასახლებაში" მდებარე საცხოვრებელი მეორე კორპუსის რეაბილიტაციისათვის საჭირო სამშენებლო მასალების შესაძენად, დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 9840 ლარი;

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურმა (მ. ზაქაიძე) უზრუნველყოს კანონით დადგენილი წესით შესყიდვების განხორციელება;

1056

საქართველო, 1800, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27
27 RUSTAVELI STREET, DUSHETI, 1800, GEORGIA
+995(346)221989
+995(346)221990
WWW.DUSHETI.ORG.GE
GAMGEOBA@GMAIL.COM

3. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (დ. შაბურიშვილი) უზრუნველყოს გამოყოფილი თანხის დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს გათვალისწინება.

4. შესყიდული სამშენებლო მასალის მიღება და სოფ.მლაშეში ე.წ. „სათბურების დასახლებაში" მდებარე საცხოვრებელი მეორე კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარისათვის (მ. ჯიქურაული) გადაცემა უზრუნველყოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის, სამეურნეო ტექნიკურმა განყოფილებამ (გ.ჭონქაძე, მ. გოგოჭური), ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელთან (მ. ბოდაველი) ერთად;

5. გამგეობის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურმა (თ.ეღიკაშვილი) ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელთან (მ. ბოდაველი) ერთად უზრუნველყოს მონიტორინგი გადაცემული სამშენებლო მასალების მიზნობრივ ხარჯვაზე;

6. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა (ე.ჩოხელი) უზრუნველყოს ბრძანების დროულად გაცნობა ამ ბრძანების 2,3,4,5 პუნქტებით განსაზღვრული პირებისათვის.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი: /ვ.ჩოხელი/